ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

ქალაქი ახალციხე

N 2 30/01/2020

ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის ექვსი თვის ანგარიშის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის #376 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 1-ის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის ექვსი თვის (2019 წლის 01 ივნისიდან-31 დეკემბრის ჩათვლით) წარმოდგენილი ნაგარიში მიღებული იქნას ცნობად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N62).

გელა ნოზაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

,,ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №376 დადგენილების მე-20 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქ/პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის ანგარიში 2019 წლის 01 ივნისიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მოგახსენებთ, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ, 2019 წლის 01 ივნისიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ჩატარდა **04** სხდომა.

აღნიშნულ სხდომებზე კომისიის მიერ განხილულ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან გადმოგზავნილი **111** მომართვა და მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი **23** განცხადება. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოსული **111** მომართვიდან, **27** მომართვა გადაწყდა დადებითად, მოხდა მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება და შესაბამისად საკუთრების უფლების მოწმობის გაცემაზე; **25** მომართვაზე მიღებულია უარყოფითი გადაწყვეტილება; ასევე იქიდან გამომდინარე, რომ არ მოხდა სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენა, **35** მომართვისთვის გაგზავნილია წერილი დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის თაობაზე; რაც შეეხება **04** საკითხს, განხილვის პროცესშია და მიმდინარეობს მისი შესწავლა; **12** მომართვაზე მოხდა ნახაზის დამოწმება კომისიის ბეჭდით კოორდინატების ცვლილებასთან დაკავშირებით; იქიდან გამომდინარე, რომ არ მოხდა სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენა, **03** მომართვისთვის გაგზავნილია წერილი დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის თაობაზე კოორდინატების ცვლილებასთან დაკავშირებით; **04** მომართვაზე მიღებულია უარყოფითი გადაწყვეტილება კოორდინატების ცვლილებასთან დაკავშირებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომართვის საფუძველზე შეწყვეტილია **01** განცხადება.

რაც შეეხება მოქალაქეების მიერ შემოტანილ **23** განცხადებას, აქედან **11** განცხადება გადაწყდა დადებითად და გაცემულია შესაბამისი საკუთრების უფლების მოწმობა; **07** განცხადებაზე მიღებულია უარყოფითი გადაწყვეტილება; **02** განცხადებაზე გაგზავნილია წერილი დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის თაობაზე; რაც შეეხება **03** განცხადებას, ისინი განხილვის პროცესშია.

ჯამში, ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის“ მიერ, 2019 წლის 01 ივნისიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განხილულია **134** განცხადება, აქედან:

- **38** განცხადებაზე მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება და გაცემულია შესაბამისის საკუთრების უფლების მოწმობა;
- **32** განცხადებაზე მიღებულია უარყოფითი გადაწყვეტილება;
- **37** განცხადებაზე მიღებულია გადაწყვეტილება დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის თაობაზე და განხილვის პროცესშია;
- **07** განცხადება საჭიროებს დამატებით შესწავლას და განხილვის პროცესშია;
- **12** განცხადებაზე მოხდა ნახაზის დამოწმება კომისიის ბეჭდით კოორდინატების ცვლილებასთან დაკავშირებით.
- **04** განცხადებაზე მიღებულია უარყოფითი გადაწყვეტილება კოორდინატების ცვლილებასთან დაკავშირებით.
- **03** მომართვისთვის გაგზავნილია წერილი დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის თაობაზე კოორდინატების ცვლილებასთან დაკავშირებით.
- **01** საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომართვის საფუძველზე შეწყვეტილია წარმოება.

ასევე, მოგახსენებთ, რომ კომისიის მიერ სისტემატურად მიმდინარეობს, როგორც მოქალაქეების, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გადმოგზავნილი განცხადებების განხილვა და შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.